ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის

# ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წლის იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური, თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კოდექსით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ," გამგეობის და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებით და სხვა ადმინისტრაციული აქტებით.

გამგეობის საშტატო ნუსხა განსაზღვრულია 132 ერთეულით, საიდანაც დასაქმებულია 127, ხოლო 14 მუშაკი აყვანილია შრომითი ხელშეკრულებით. ყველა მუშაკი დანიშნულია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამსახური დაყოფილია: საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების, იურიდიულ და წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილებებად, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში შემოდიან მრჩევლები გენდერულ და სოფლის მეურნეობის საკითხებში და მიმაჩნია, რომ მათი მუშაობა პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2016 წლის იანვრიდან, ჩართული ვართ ელექტრონულ საქმისწარმოებაში, რომელიც წარმატებულად მიმდინარეობს. დღემდე შემოსულია 6445 კორესპოდენცია და მათზე პასუხის გაცემა ხორციელდება შესაბამის ვადაში, დარღვევას ადგილი არ ქონია.

გამგეობის მოსამსახურეთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ვაწარმოებთ პირად საქმეებს, ვამზადებთ სამართლებრივი აქტების პროექტებს, ვამოწმებთ მოსამსახურეების მიერ „სააჯრო სამსაურის შესახებ“ საქართველოს კანონთ დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულის და შესაბამისობას, შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეებთან ვაფორმებთ შრომითი ხელშეკრულებებს, ავღრიცხავთ და კონტროლს ვუწევთ ხლშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცავზე. ვადგენთ მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკს, ვაკონტროლებთ კანონით დადგენილ ვადაში დეკლარაციების წარდგენის პროცესს.

ამ პერიოდისათვის გამოცემულია 2054 გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მიწის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 22 განკარგულება

2016 წელს ინტერნეტ სივრცეში შევქმენით მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებ გვერდი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს, ა(ა)იპ -ებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ.

ადმინისტრაციული სამსახური საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით ამზადებს ინფორმაციებს მუნიციპალიტეტის ვებპორტალზე განსათავსებლად. ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის მეშვეობით ახდენს მოსახლეობის ინფორმირებას

მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალური - კულტურულ, სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ. ზრუნას საზოგადოების სისტემატურ ინფორმირებაზე მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით.

ვაშუქებთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს სამსახურების, არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობას. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ჩვენს მიერ მომზადებული მასალები ოპერატიულად და რეგულარულად თავსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებგერდზეwww.kharagauli.ge და ასევე გამგეობის ფეისბუქ გვერდზე. მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებ გვერდზე www.kharagauli.ge დატანილია ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს, ა(ა)იპ -ებისა და სხვადასვა ორგანიზაციების შესახებ. ჩვენ საჯაროს ვხდით და ვებ გვერდზე ვანთავსებთ „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებს. ავღნიშნავთ, რომ სოციალური მედიის საშუალებით მუდმივ კავშირში ვართ საზოგადოებასთან, ვიღებთ სხვადასხვა სახის კითხვებს და მათ, შესაბამისი კომპეტენციის პირებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ ვცემთ პასუხს.

ვმონაწილეობთ ხარაგაულში დაგეგმილი ოფიციალური და მასშტაბური ღონისძიებების ორგანიზებაში, ვამზადებთ პრეს-რელიზს. ვაწვდით ინფორმაციებს სხვადასხვა მედია-საშუალებებს, მათ შორის ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებს.

აქტიურად ვთანამშრომლობთ იმრეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე ვაზიარებთ იმერეთის მასშტაბით მიმდინარე პროექტებს.

ამჟამად მიმდინარეობს ვებ გვერდის www.kharagauli.ge რებრედინგი და, ვფიქრობთ, ჩვენი აქტიური მუშაობის შედეგად მომავალ წელს, საზოგადოება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდს ახლი და კიდევ უფრო საინტერესო ფორმით იხილავს.

ინფორმაციისათვის, სტატისტიკური მონაცემებით ვებ გვერდს www.kharagauli.ge ამ დროისათვის 707 430 ნახვა აქვს, აქედან უნიკალური ვიზიტორია 51 855.

ერთი თვის საშუალო ნახვები სტატისტიკური მონაცემებით 42 487-ია. მათ შორის ერთ თვეში ვებ გვერდს 5 912 უნიკალური ვიზიტორი ყავდა.

წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილება ორგანიზებას უწევდა ადმინისტრაციული ერთეულების ურთიერთობას გამგეობასთან, საკრებულოსთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიიზაციებთან და მოქალაქეებთან.

განყოფილების თანამშრომლების მიერ მომზადდა გამგებლის ადმინისტრაციული აქტების პროექტები, დასკვნები და სხვადასხვა სახის წერილობითი ინფორმაციები. აქტიურად ვთანამშრომვლობდით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად ვახდენდით პიროვნებების იდენტიფიცირებას , აგრეთვე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთების იდენტურობას; ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე ვამზადებდით და ვაწვდიდით ინფორმაციებს.

მიმდინარე წელს  რეაგირებისათვის დაგვეწერა მოქალაქეთა 4 განცხადება და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გადმოგზავნილი 478  წერილობითი მომართვა.

- სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარაგაულის  სამოქალაქო რეესტრს  გადავუგზავნეთ პირის გარდაცვალების ფაქტის დამადასტურებელი  25 ოქმი;

-იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა დაქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხარაგაულის რაიონულ სამმართველოს გადაეგზავნა  მათი მოთხოვნის საფუძველზე მოქალაქეთა ცნობა-დახასიათებები  60 ცალი;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან  გადმოგზავნილი  წერილობითი მომართვების  საფუძველზე მოვამზადეთ და გავაგზავნეთ  შემდეგი  სახის ინფორმაციები:

-პიროვნების იდენტურობაზე  - 29;

-მიწის ნაკვეთის იდენტურობაზე - 43;

- ამონარიდები საგადასახადო სიებიდან - 65;

-  240  მომართვის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა  , ვინაიდან  საჯარო რეესტრი ითხოვდა 2007 წლის 20 სექტემბრამდე  არსებულ ინფორმაცია/დოკუმენტაციის ასლებს კომლის შემადგენლობის (სხვა კომლში  წევრად არსებობის), მასზე რიცხული ქონებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის თაობაზე,  ვინაიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაცულია მხოლოდ ხარაგაულის რაიონის  2011, 2012 და 2014 წლების მიწის  გადასახადის გადამხდელთა სიები, რომლებიც შედგენილია ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულების მიერ წარმოდგენილი ბეჭედდასმული მასალების საფუძველზე (დედნები ინახება გამგეობაში) და მიწოდებული გვაქვს ქუთაისის რეგიონალური ცენტრისათვის (საგადასახადო ინსპექცია).  ხოლო საკომლო წიგნები,რომლითაც უნდა დავადგინოთ 2007 წლამდე  კომლის შემადგენლობა, ჩაბარებულია ზესტაფონის ეროვნული არქივისათვის.  არ დაკმაყოფილდა ასევე მომართვები , რომლითაც უძრავ ნივთზე რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი  დოკუმენტაცია  ტექნიკური  შეცდომის

გამო არ გვაძლევდა საშუალებას დაგვედგინა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე არსებული მიწის ნაკვეთის იდენტურობა.

იურიდიული განყოფილების მიერ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით რეგულარულად მიმდინარეობს სამართლებრივი კონსულტაციები. შეთანხმებული იქნა გამგეობის სხვადასხვა სამსახურების მიერ მომზადებული ადმინისტრაციული აქტების პროექტები.

მომზადებული იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების, საკრებულოს დადგენილების და განკარგულების პროექტები.

შემუშავდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წესდებებში ცვლილებების შეტანის შესახებ სამართლებრივი აქტის და წესდების პროექტები.

ხდებოდა მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სხვადასხვა-ინსტანციის სასამართლოებში, ასევე მზადდებოდა შესაგებლები და სარჩელები როგორც ადმინისტრაციულ ასევე სამოქალაქო საქმეებზე.

მომზადდა მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანტურ პოზიციების დასაკავებლად საკონკურსო მასალები.

განყოფილება აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში და ხდება აღნიშნული კომისიის საქმისწარმოების მასალების მომზადება (სხდომის ოქმები, გადაწყვეტილებები, საკუთრების უფლების მოწმობები).

ასევე მიმდინარეობს მუშაობა გენდერულ საკითხებშიც.

მომზადდა საჯარო სამსახურში დასაქმებულთა გენდერული ანალიზი თანამდებობის, სტატუსის და ხელფასის რაოდენობის მიხედვით. მომზადებული ინფორმაცია მოთხოვნისამებრ მიეწოდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაბამისი კვლევის წარმოებისათვის.

ასევე მომზადდა წინადადება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ,,გენდერული თანასწორობის საბჭო“ და განსახილვევლად წარმოდგენილი იქნება საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კახაბერ გოლუბიანი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი